N 949-01 19/02/2021

ხელშეკრულება №43
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 თავის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მირიან ქათამაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, ინდ. მეწარმე „სუზანა ანთაძე“, წარმოდგენილი სუზანა ანთაძის სახით, ვდებთ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან სხვადასხვა დასახელების საქონლის შესყიდვა, თანახმად წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართისა (CPV კოდი-41100000, 15900000, 15800000, 39200000, 33700000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 3807 (სამი ათას რვაას შვიდი ლარი) ლარი (მ.შ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი 2307 ლარი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯი-1500 ლარი).
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება CPV კოდების მიხედვით: **41100000**__1698 ლარი, **15900000**__900 ლარი, **15800000**__679 ლარი, **33700000**__330 ლარი, **39200000**__200 ლარი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად 2021 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.
4.2. მიწოდების ადგილად განისაზღვრება: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი 141.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები გამოვლენილი წუნდების მიზეზის მითითებით.
5.4. საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ უფლებამოსილი პირები, კერძოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზაციულ საკითხთა განყოფილების უფროსი ან/და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი ორგანიზაციულ საკითხებში.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებულ საქონელზე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.2. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი.
7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ორგანიზაციულ საკითხთა განყოფილების უფროსი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი ორგანიზაციულ საკითხებში, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მოსაწოდებელი საქონლის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების

შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი ძალის გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. დაუძლებელი ძალის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი ძალის ზეგავლენისაგან.

11. გარანტია

მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. „შემსყიდველი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „შემსყიდველი“–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141;
15.2 „შემსყიდველი“–ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890;**
15.3 „შემსყიდველი“ – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

16. „მიმწოდებელი“–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

16.1 „მიმწოდებელი“–ს იურიდიული მისამართი: ქობულეთი, ს.ხუცუბანი მე–19 ქ. N34
16.2 „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა GE18BG0000000047643200
16.3 ,,მიმწოდებლის“ საიდენტიფიკაციო კოდი 61004045794;
16.4 „მიმწოდებელი“ – ინდ. მეწარმე ,,სუზანა ანთაძე“

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	**ინდ. მეწარმე ,,სუზანა ანთაძე“**
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი	**წარმომადგენელი**
მირიან ქათამაძე	**სუზანა ანთაძე**

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

kobuleti municipality

Подписано цифровой подписью: kobuleti municipality
Дата: 2021.02.19 12:47:17 +04'00'

N43 ხელშეკრულების დანართი N1 (ფასების ცხრილი)

№	საქონლის დასახელება	განზ-ბა	რაოდენობა		ერთეულის ფასი	საერთო ფასი	CPV კოდი
			მუნიციპალიტეტის მერია	მუნიციპალიტეტის საკრებულო			
1	წყალი "სნო" 0,5 ლ	ბოთლი	830	2000	0.6	1698	41110000
2	მინერალური წყალი გაზირებული 0,5 ლ	ბოთლი	750	150	1	900	15981200
3	შაქარი	კგ	40		2	80	15831000
4	ნალექიანი ყავა	კგ	40		10	400	15861000
5	ხსნადი ყავა 100 გრ	ქილა	20		7.5	150	15861000
6	შავი ჩაი 50 გრ (შეფუთვაში 25 ცალი პაკეტი)	შეფუთვა	14		3.5	49	15863000
7	ხელსახოცი (100 ცალი (33სმX33სმ)	შეკვრა	100		2.3	230	33764000
8	ჰიგიენური ქაღალდი	1 რულონი	100		1	100	33764000
9	ერთჯერადი ჭიქა	ცალი	1000	3000	0.05	200	39222120
	ჯამი	**ლარი**	**2307**	**1500**		**3807**	

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

შემსყიდველი

ი/მ ,,სუზანა ანთაძე"

მიმწოდებელი